ბრძანება:№42. 42243522
თარიღი:17/12/2024

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარე 102.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.15.510) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N 669 დადგენილების, ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2014 წლის 24 დეკემბრის, N 21/58 დადგენილების შესაბამისად და ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარე 102.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.15.510) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით 5 (ხუთი) წლის ვადით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2024 წლის 30 ოქტომბრის, N 10/51 განკარგულების და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის, 2024 წლის 17 იანვარს გაფორმებული N 37 ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებული, N 007997124 ექსპერტის დასკვნის საფუძველზე

ვბრძანებ

მუხლი 1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარე 102.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.15.510) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით.
მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარე 102.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.15.510) საწყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს 3015.00 (სამიათასთხუთმეტი) ლარით, ,,ბე“ განისაზღვროს 1206.00 (ერთი ათას ორასექვსი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 1005.00 (ერთი ათასხუთი) ლარით.
მუხლი 3. სარგებლობაში (იჯარა) გადაცემის ვადად განისაზღვროს 5 (ხუთი) წელი, სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან.
მუხლი 4. განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2024 წლის 30 დეკემბრის 15:00 საათიდან, 2025 წლის 13 იანვრის 15:00 საათამდე.
მუხლი 5. აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე“ ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში.
მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ოქმის საფუძველზე, არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება.
მუხლი 7. წლიური საიჯარო ქირა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს, ყოველწლიურად (ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან ყოველი საიჯარო წლის განმავლობაში), შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423047 (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და

მართვაში).
მუხლი 8. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.
მუხლი 9. ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge.
მუხლი 10. წინამდებარე ბრძანების სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.
მუხლი 11. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასაცემ უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.
მუხლი 12. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსს თეონა გეთიას.
მუხლი 13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).
მუხლი 14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი